



## დუშეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა #29

2014 წლის 8 ივლისი

ქ. დუშეთი

ა(ა)იპ „დუშეთის მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის სამსახური“-ს დირექტორისათვის გამარტივებული შესყიდვის საშუალებით მუნიციპალიტეტის ტერიტორიიდან უმეტვალყურეოდ დარჩენილი ძაღლების გაყვანის შესყიდვაზე თანხმობის მიცემის შესახებ

იმის გათვალისწინებით, რომ მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე საგრძნობლად მომრავლდა უმეტვალყურეოდ დარჩენილი ძაღლები და საფრთხე შეექმნა მოსახლეობას, ა(ა)იპ „დუშეთის მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის სამსახური“-ს ხელმძღვანელობის მიერ სამჯერ იქნა გამოცხადებული ტენდერი მათი გაყვანის შესყიდვაზე, მაგრამ სამჯერვე ჩაიშალა.

მდგომარეობის კიდევ უფრო გართულების თავიდან აცილების მიზნით ა(ა)იპ დუშეთის მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის სამსახური“-ს დირექტორი ითხოვს ნებართვას უმეტვალყურეოდ დარჩენილი ძაღლების გაყვანის შესყიდვა განახორციელოს გამარტივებული შესყიდვის საშუალებით

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილების, მე-16 მუხლის მე-3 ნაწილის და საქართველოს კანონის „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ მე-10<sup>1</sup> მუხლის მე-3-ე პუნქტის “ზ” ქვეპუნქტის შესაბამისად, დუშეთის მუნიციპალიტეტის საკრებულომ

### გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

1. ა(ა)იპ „დუშეთის მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის სამსახური“-ს დირექტორს მიეცეს თანხმობა, რათა მუნიციპალიტეტის ტერიტორიიდან უმეტვალყურეოდ დარჩენილი ძაღლების გაყვანის შესყიდვა განახორციელოს გამარტივებული შესყიდვის საშუალებით.

2. ეს განკარგულება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე

ცარო საძაგლიშვილი